პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР.

გამოცემის 46-ე წელი. № 204 (13289) | კვირა, 29 აგვისტო, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდება მეშახტის შრომას!

საბჭოთა მეშახტეებს, გოლიათი მიწების უშიშარ მდრეკელებს, დღეს დიდი ზეიმი აქვთ. მათი მოუღლელი მარჯვენა, დღეს — მეშახტის დღეს, მრავალჯერ ასწევს ხავსე თასს მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სადიდებლად. დიახ, სწორედ მათი წყალობით ასე საპატიო გახდა მეშახტის პროფესია.

საქართველოს სსრ ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებისთვის დღევანდელი ზეიმი იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ იგი ემთხვევა ქართული მიწის წიაღიდან ქვანახშირის პირველი ამოღების საიუბილეო თარიღს — ტყიბულის სამადნო დამუშავების 120 წლისთავს.

ჩვენი რესპუბლიკა ქვანახშირის ერთადერთი მწარმოებელია მთელ ამიერკავკასიაში. ამიტომ იგი მოწოდებულია ამ ძვირფასი საწვავით, რომელსაც დიდმა ლენინმა „მრეწველობის პური“ უწოდა, გარდა საქართველოსი მოამარაგოს აზერბაიჯანისა და სომხეთის სამრეწველო მეურნეობა.

ქართველ მეშახტეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ დავალებას ისინი თანდათან წარმატებით ანაღდებენ. ეს ნათლად ჩანს იქიდანაც, რომ ამჟამად ჩვენი მძიმე ინდუსტრია 4.5-ჯერ მეტ ქვანახშირს იღებს, ვიდრე სამამულო ომის წინა, 1940 წელს იღებდა. ეს ნიშნავს 70 პროცენტით აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

ამიტომაც ჩვენი სახელოვანი მეშახტეები ენერგიულად ზრდიან „შავი ოქროს“ მოპოვების ტემპებს. საბჭოთა მთავრობა სპეციალური დავალება მიმდინარე წლის განმავლობაში 50 ათასი ტონა ქვანახშირის წლიური გეგმის გადამეტებით ამოღების შესახებ საქართველოს მეშახტეებმა ხუთ თვეში გააანადღეს!

ჩვენ ვამაყობთ, რომ რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობაში ამჟამად არ არის ისეთი შახტი, რომელიც გეგმას არ ასრულებდეს. ჩვენმა მეშახტეებმა ქვანახშირის მოპოვების რვა თვის გეგმა ვადამდე დიდი გადაჭარბებით შესრულეს და ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებით ქვანახშირის ნაცრიანობა 1958 წლის დონესთან შედარებით 4 პროცენტით შეამცირეს.

ქვანახშირის მრეწველობა სახალხო მეურნეობის ყველაზე შრომატევად დარგად არის მიჩნეული. ამიტომ განსაგებია, თუ რატომ ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა ქვანახშირის მოპოვების საქმეში მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, ახალი, მაღალი წარმადობის ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის, აგრეთვე შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვას. წელს ჩვენმა მეშახტეებმა სამთო გამონამუშევრებიდან ქვანახშირისა და ფუჭი ქანის გამოსატანად დატვირთვის მექანიზაციის განხორციელების გეგმა შეასრულეს 64 პროცენტის, ხოლო საკონვეიერო ხაზთა მუშაობის ავტომატიზაციის განხორციელების გეგმა — 26 პროცენტის გადაჭარბებით.

ნაოფიერ შედეგს იძლევა ის კონტაქტი, რომელიც არსებობს ქართველ მეცნიერებსა და მეშახტეებს შორის. რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის განვითარების ინტერესები მოითხოვს, რომ სამეცნიერო-საკვლევმა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტებმა, ტრესტებმა და შესაბამისმა დაწესებულებებმა ყველაფერი იღონონ ჩვენში ახალი მანქანებისა და მექანიზმების შექმნის საქმეში არსებული ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად, ქვანახშირის მოპოვების კომპლექსური მექანიზაციისათვის, შახტებში და კარიერებზე შრომატევად სამუშაოთა შესაცვლელად.

საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მრეწველობაში ბიდრავლიკური ვსებით ქვანახშირის მოპოვების მეთოდი პირველად ტყიბულში დაინერგა. მართალია, ახლა ტყიბულში მთელი მოპოვებული ქვანახშირიდან 60 პროცენტზე მეტს ბიდრავლიკური ვსების მეთოდით მოპოვებული ქვანახშირი შეადგენს, მაგრამ იგი დამაკმაყოფილებლად როდი ჩაითვლება. საჭიროა ამ მხრივ უფრო განვითარდეს მუშაობა.

ქვანახშირის მოპოვების გადიდება განუყრელად დაკავშირებულია მეშახტის შრომის ნაყოფიერების ზრდასთან. სოციალისტური შრომის დამკვრელები გვაძლევენ ტექნიკის გამოყენების მნიშვნელოვან შედეგებს, მაღალნაყოფიერი შრომის საუკეთესო მაგალითებს.

გავხადოთ მათი გამოცდილება და შრომის მეთოდი ყველა მეშახტის სიმდიდრედ — ეს სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელების უპირველესი მოვალეობაა.

საჭიროა შეეტანოთ შარაგი არა მარტო ჩვენს სამრეწველო საწარმოებში, ელექტროსადგურებში, რკინიგზებზე თუ კომუნალურ მეურნეობებში, არამედ უზრუნველვყოთ ყველა სახის სათბობის უველაზე ეკონომიური ხარჯვაც.

— წიალის გმირები! უდავოდ დაიმსახურეს ასეთი სახელი იმ ადამიანებმა, საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის გამოჩენილმა მეშახტეებმა, რომლებიც ამ სურათებზე არიან გამოსახულნი. ასეთი სახელოვანი ადამიანები ასობით არიან როგორც ტყვარჩელელ, ისე ტყიბულელ მეშახტეებს შორის.

ზემოთ თქვენ ხედავთ სახელოვან ტყვარჩელელ მეშახტეთა ოთხ წარმომადგენელს, რომლებიც ფოტოფირზე აღბეჭდა საქდესის ფოტოკორესპონდენტმა ი. ბოხონელიძემ. მათ (მარჯვნიდან მარცხნივ) — გ. ჩიგოვაძეს, ა. ხვარცკაიას, გ. ხაჩიძეს და ა. ზამბახიძეს დიდი შრომითი წვლილი მიუძღვით იმაში, რომ ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის № 1 შახტის კოლექტივმა შვიდწლიდი შეასრულა და მეშახტის დღის აღსანიშნავად სამშობლოს უკვე მისცა 35 ათასი ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი.

ქვემო სურათზე წარმოდგენილი არიან მოწინავე ტყიბულელი მეშახტეები (მარცხნიდან მარჯვნივ) — ა. ტაბატაძე, გ. ცირეკიძე, შ. დარსაძე, ე. კუბლაშვილი, გ. ხურცაძე (ბრიგადირი) და შ. ფოცხვერია. ისინი გაერთიანებული არიან კომუნისტური შრომის ბრიგადაში, მუშაობენ ვ. ი. ლენინის სახელობის შახტის პირველ საექსპლოატაციო უბანში და თავი ისახელეს იმით, რომ რვა თვის გეგმის გადამეტებით სამშობლოს 500-ზე მეტი ტონა ქვანახშირი მისცეს. ამჟამად ბრიგადა ყოველ ცვლაში 10-12 ტონა ზეგეგმითს ქვანახშირს ამლევა. ამიტომ იყო, რომ საქდესის ფოტოკორესპონდენტს გ. გერსამიას ტყიბულში სწორედ ამ ბრიგადის სურათის გადაღება ურჩიეს.

გამალ აბდელ ნასერი სსრ კავშირში

28 აგვისტოს კრემლში გაიმართა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის, არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარის გამალ აბდელ ნასერის მოლაპარაკება.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიკოიანი, ა. ნ. შელეპინი და სხვები.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მხრივ პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერთან ერთად მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი ზაკარია მოჰი ედ-დინი, ეროვნული კრების თავმჯდომარე ანვარ ელ-სადაური, პრემიერ-მინისტრის მოადგილე საგარეო საქმეებში დოქტორი მაჰმუდ ფაჯი და სხვები.

მოლაპარაკების დროს, რომელსაც გულთბილობა და გულითადობა ახასიათებდა, მოხდა აზრთა ფართო და გულწრფელი გაზიარება საერთაშორისო ძდგომარეობის, აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა 28 აგვისტოს კრემლის დიდ სასახლეში გმართა საუზმე.

საუზმეზე იყვნენ ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიკოიანი, ა. ნ. შელეპინი და სხვები.

საუზმის დროს, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, გამალ აბდელ ნასერმა და ა. ი. მიკოიანმა წარმოთქვეს სიტყვები. (საქდესი).

მეადლობა მილოცვისათვის

კუბის რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა ამხანაგებმა ფიდელ კასტრო რუსმა და ოსვალდო დორტიკოს ტორადომ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ა. ნ. მიკოიანსა და ა. ნ. კოსიგინს გამოუგზავნეს დეპეშა, რომელშიც კუბის ხალხის, სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიისა და რევოლუციური თავმრთის სახელით გულითად მადლობას უძღვნიან მილოცვებისათვის 26 ივლისის დღის 12 წლისთავის გამო.

დეპეშაში გამოთქმულია რწმენა, რომ კუბისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობა და თანამშრომლობა განუწყვეტლივ გაფართოვდება და განმტკიცდება. (საქდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომლითაც 1965 წლის 1 სექტემბრიდან ყველგან საქართველოს სს რესპუბლიკაში შემოღებულია რეგულარული უფასო მგზავრობა სკოლამდე და უკან, საცხოვრებელ ადგილამდე, დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაეკალა შეიმუშაოს და განახორციელოს მოსწავლეთა უფასო მგზავრობის შემოღებასთან დაკავშირებული საჭირო ღონისძიებანი.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მოსწავლეთა უფასოდ გადაყვანა-გადმოყვანის ორგანიზაციის ღროს გამოყენებული უნდა იყოს სამარშრუტო ავტობუსები, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოთა და დაწესებულებათა ტრანსპორტი, საგარეუბნო და ადგილობრივი მატარებლები, აგრეთვე კოლმეურნეობათა სატრანსპორტო საშუალებანი. (საქდესი).

მომავალი ვიზიტი

სსრ კავშირში ჩამოვა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით მიმდინარე წლის სექტემბრის დამდეგს საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ამხანაგ ანტონინ ნოვოტნის მეთაურობით.

საღებავი ნარჩენებისაგან

ბაქოს საყოფაცხოვრებო ქიმიის ქარხნის კოლექტივმა გამოუშვა პირველი 30 ტონა კოროზიის საწინააღმდეგო საღებავი, რომელიც სტროლის წარმოების ნარჩენებისაგან დაამზადეს.

ახალი საღებავი, რომლის რეცეპტი შეიმუშავეს აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის თანამშრომლებმა, აზნავთობისა და საყოფაცხოვრებო ქიმიის ქარხნის სპეციალისტებმა, მაღალი ტენდენციებით გამოირჩევა. ამ საღებავით არის დაფარული გაზსადენის მილები, რომელიც გაივლინა ზღვის ფსკერზე, დასახლებული კუმბულიდან შახის ისრამდე. (აზდესი).

ჩვენს დიად საუბრობენ

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო დღის“ ყოველწლიური დღესასწაულის დაწესების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაწესდეს დღესასწაული „ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო დღე“.

„ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო დღის“ დღესასწაული მოეწყოს ყოველწლიურად სექტემბრის პირველ კვირადღეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი.
1965 წ. 28 აგვისტო.

შვიდწლედი — ვადამდე!

ჩარხმშენებელთა მეგობრობა

ერევანი — ქუთაისი

ქუთაისი. (საქ. კორ.). მეჩიდრო საწარმოო ურთიერთობა აკავშირებთ ერთმანეთთან ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნისა და ერევნის ფ. ძერჟინსკის სახელობის ჩარხსამშენებელო ქარხნის კოლექტივებს. ერევნელები ქუთაისელებს უგზავნიან ხრახნსაჭრელ ჩარხებსა და ზოგიერთ სხვა დეტალს.

ამას წინათ, სამეცნიერო-ტექნიკური და რაციონალიზაცია-გამომგონებლობის საკავშირო საზოგადოებათა საქართველოს საბჭოების ინიციატივით, მოწინავე გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით ოცი ავტომშენებელი იყო სტუმრად ძერჟინსკის სახელობის ქარხანასა და ერევნის სხვა საწარმოებში.

ქუთაისელი ავტომშენებლები განსაკუთრებით დაინტერესდნენ „1-3-60“ ტიპის ხრახნსაჭრელი ჩარხის სიჩქარეთა კოლოფის შეცვლილი კონსტრუქციით, რაც ერევნელმა ჩარხმშენებლებმა განახორციელეს. ავტომშენებლები სომეხი მეგობრებისაგან მალე მიიღებენ მათ მიერ შექმნილი სპეციალური სამარჯვის ნახაზებს, რის შემდეგ ასეთსავე სამარჯვს გამოიყენებენ სახეს ჩარხზე გრძელი მილისების ავტომატურად ხეხვისათვის. ავტომშენებლებისათვის არანაკლებ საინტერესო იქნება აგრეთვე ერევნელი რაციონალიზატორის ალ. კაკოიანის ორდარიანი საჭრისი, რომელსაც საკისარების მილტუჩების დამუშავებაზე იყენებენ.

მალე სომეხი მეგობრები გამოცდილების გასაზიარებლად ეწვევიან ქუთაისელ ავტომშენებლებს.

ზრდიან სანარმოო სიმძლავრეს

რუსთავი. (საკ. კორ.). ცემენტის ქარხანაში ვადაზე ადრე მოამზადა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი, რიგით მეშვიდე წისქვილი. მისი ამოქმედებით ქარხნის წარმადობა წელიწადში 100 ათასი ტონით გაიზრდება.

ახალი წისქვილი არსებულებზე უფრო დიდია და მაღალი წარმადობისაა, ამასთან თითქმის ყველა სამუშაო პროცესი იქ ავტომატიზებულია. გაუმჯობესებულია ტომბოების სისტემაც.

თბილისის ჩირაღდანი

27 აგვისტოს შრომით ვახტზე დადგა თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მესამე ბლოკი. მშენებლებმა და მემონტაჟეებმა შემჭიდროებულ ვადებში შეასრულეს დიდი მოცულობის სამუშაოები და ობიექტი საექსპლოატაციოდ გადასცეს გრაფიკის მნიშვნელოვანი გასწრებით.

ბლოკის სიმძლავრე 150 ათასი კილოვატია, ოთხჯერ უფრო მეტი, ვიდრე ზაჰესის, საქართველოს ენერგეტიკის პირმშოს სიმძლავრეა. ამჟამად, მდინარის შემოდგომა-ზამთრის დონის დაკლების წინ, ახალი ბლოკის ამოშვება კარგი დახმარებაა. თბილისგური მუშაობს სტავროპოლისა და ყარადაღის სადგურთა ბუნებრივი გაზით და შედის ამერკავკასიის ერთიან ენერგოსისტემაში.

თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური კვლავ ადადგენს სიმძლავრეს. უკანასკნელი, მეოთხე ბლოკის ამოშვების შემდეგ, რომელიც მომავალი წლისათვის არის დასახული, სადგურის სიმძლავრე მიაღწევს 600 ათას კილოვატს. (საქდესი).

ზრომითი პატაკები

გორის რაიონის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების წლიური გეგმები. ნაცვლად 16.200 ცენტნერისა სახელმწიფოს მიეყიდა 23.020 ცენტნერი ხორბალი, წლიური გეგმა შესრულებულია 142 პროცენტით. ჯერ-ჯოვანი ხილის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით, სახელმწიფოს მიეყიდა 59.660 ცენტნერი ხილი. კვერცხის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 101,3 პროცენტით, სახელმწიფოს მიეყიდა 1.389.000 ცალი კვერცხი. ხორცის დამზადების ცხრა თვის გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით, რძისა — 100 პროცენტით. ეს რეფერენდუმის დეპეშით აცნობეს პარტიის გორის რაიკომის მეორე მდივანმა გოცირიძემ, მშრომელთა დეპუტატების რაიონალურ საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ტოლიაშვილმა და სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსმა ჭუჩუაშვილმა.

მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ახალციხის რაიონის **მოხის** მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობამ 25 აგვისტოსათვის გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის რძისა და ხორცის მიყიდვის წლიური გეგმები. რძის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 106 პროცენტით, ხორცისა — 107 პროცენტით.

მეურნეობამ გეგმის გადაჭარბებით მიაყიდა სახელმწიფოს 420 ცენტნერი რძე და 48 ცენტნერი ხორცი. ეს აცნობა რეფერენდუმის მეცხოველეობის ტრესტის მმართველის მოადგილემ შ. კომოთიძემ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მინისტრთა საბჭოსაგან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1965 წლის 27 აგვისტოს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე ამხანაგი სერგი ვლადიმერის-ძე კურაშოვი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი** | **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

ჩვენი ქვეყნის მინდვრებში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ შეაჯამა აგვისტოს მეხუთე ხუთდღიურის მინდვრის სამუშაოთა შედეგები. ამ ხნის განმავლობაში მიწათმოქმედებმა დიდი მუშაობა შეასრულეს. ჰექტარული მომგილია 10,6 მილიონ ჰექტარზე, 3,6 მილიონ ჰექტარზე დათესილია საშემოდგომო კულტურები, 5,4 მილიონი ჰექტარი მოხნულია მომავალი წლის საგაზაფხულო კულტურებისათვის.



უბნის სიხარული

ახალი სასწავლო წლის წინ

 პირველი ზარი სკოლაში! ეს მუდამ ამაღელვებელია ჩვენი ბავშვებისათვის. განსაკუთრებით საზეიმო და დასამახსოვრებელი დღეა იგი არა მარტო იმათთვის, ვინც პირველად მოდის სკოლაში — მორცხვი პირველკლასელებისათვის, არამედ ზომაგალ გამოსაცვლებთათვისაც — მეათე-მეთვრამეტეკლასელებისათვის, ყველა მოსწავლისათვის, პედაგოგებისა და მშობლებისათვის....

მით უფრო საზეიმოდ ეღერს ზარი ახალ, ნათელ სკოლაში, თითქოს საგანგებოდ რომ გაუშუქებია ზაფხულის დილის მზის სხივებს.

ეს სკოლა განსაკუთრებით ახარებს თვალს. და არა მარტო იმიტომ, რომ იგი ახალია, არამედ იმიტომაც, რომ მართლაც ულამაზესია რესპუბლიკის ათასობით სკოლის შენობათა შორის.

და კიდევ იმითაც არის იგი ღირსშესანიშნავი, რომ აღიმართა არა დედაქალაქის სადმე ცენტრში, არამედ მის შორეულ გარეუბანში, თითქმის ქალაქის ფარგლებს გარეთ.

ამ წინათ მივიწყებულ უბანს ძველათ ვიღაცამ ხუმრობით „აფრიკა“ შეარქვა. აქ ნახავდით ძველ ბარაკებს, იყო მტვერი, წვიმიანში — ტალახი და უგზოობა. არ იყო აქ არც წყალი, არც ელექტროშუქი, არც სხვა რამ ელემენტარული პირობები ცხოვრებისათვის.

ახლა აქ კეთილმოწყობილი დასახლებაა, ისეთივე კეთილმოწყობილი და ლამაზი მრავალსართულიანი სახლებია, როგორიც ქალაქის სხვა უბნებში, გზები მოასფალტებულია. ეს არის ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი დასახლება.

და განსაკუთრებით სასიხარულოა დასახლების მცხოვრებთათვის მოახლოებული 1 სექტემბერი — ახალი სასწავლო წლის დაწყების დღე. სასიხარულოა იმიტომ, რომ ამ დღეს აქ ფაართოდ გაიღება ახალი სასკოლო შენობის კარი და დაირეკება პირველი ზარი. ეს საჩუქარი მიიღეს ამ დასახლების ბავშვებმა.

ეს სკოლა თავისი გარეგნობით იზიდავს მნახველს. იგი ისე ნათელია, ისე თეთრი, გეგონება გამჭვირვალე მინისაგან იყოს ნაგები. ყველგან იდეალური სისუფთავეა, ყველაფერი ბრწყინავს, ახალი დგამ-ავეჯი გულს ახარებს.

ახალი სკოლის დირექტორთან ჯეირან იაკობაშვილთან ერთად მივიბიჯუბთ განიერი კორიდორების მბრწყინავ პარკეტზე:

—ეს სკოლა ჩვენმა ბავშვებმა მიიღეს საჩუქრად ტრესტ „საქჰიდროენერგომშენისაგან“, — მეუბნება იგი. — რა უნდა იყოს ამ საჩუქარზე ძვირფასი. ტრესტმა იგი ააშენა საკუთარი სახსრებით, ოღონ თანხა კი არ დაუხარჯავს. იგი ათასი მოსწავლისათვის არის გათვალისწინებული. ჩვენს სკოლას თამამად შეიძლება ვეწოდოთ ინტერნაციონალური. აქ ისწავლიან ქართული და რუსული ჯგუფები. ჩვენი სკოლის მომავალ აღსაზრდელთა შორის არიან ქართველები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, უკრაინელები, ოსები, დაღესტნელები, ბერძნები და მრავალი სხვა ეროვნების ბავშვები. არა მარტო მათთვის, არამედ მთელი ჩვენი დასახლებისათვის ახალ სკოლაში სწავლის პირველი დღე დიდ დღესასწაულად გადაიქცევა.

რაც უფრო ღრმად ეცნობი ამ სკოლას, მით უფრო რწმუნდები იმაში, თუ რა შესანიშნავი პირობებია შექმნილი ახალი სკოლის მომავალ აღსაზრდელთათვის.

ნათელ, ფართო საკლასო ოთახებში დაგებულია პარკეტი, დადგმულია ახალი დგამ-ავეჯი, ხელსაბანები, დაკიდებულია დღის შუქის ნათურები. სკოლის განკარგულებაშია შესანიშნავად მოწყობილი სასწავლო ლაბორატორიები, ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, მეჯოხეობის კაბინეტები, მექანიკური, სადურგლო სახელოსნოები.

ახალი სკოლის ერთ-ერთ სიამაყეს წარმოადგენს საკუთარი სპორტული ბაზა და კუნძული, სადაც ყველაფერი გათვალისწინებულია ნორმ სპორტსმენთა და სასკოლო მხატვრული თვითმოქმედების წრეების მეცადინეობისათვის.

სკოლაში გამოვესაუბრე დასახლების საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარეს, კონუნისტური შრომის ბრიგადის ტექნიკოსს რევაზ გოგიტაურს. იგი ხელმძღვანელობს მშობელთა ჯგუფს. რომელიც ეს მერამდენე დღეა აქტიურად მონაწილეობს პირველი სექტემბრისათვის ახალი სკოლის მომზადებაში.

— მიელი ჩვენი დასახლება აღფრთოვანებულია ამ დიდი მოვლენით, — ამბობს ამბ. გოგიტაური, — ჩვენმა ბავშვებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს. გთხოვთ „კონუნისტის“ საშუალებით ჩვენი — „საქჰიდროენერგომშენის“ დასახლების ყველა მცხოვრების გულითადი მადლობა გადასცეთ მშობლიურ პარტიას და მთავრობას იმ ზრუნვისა და ყურადღებისათვის, რასაც ისინი უწევენ ჩვენს ბავშვებს. ასეთ სკოლაში სწავლა საამაყო უნდა იყოს ჩვენი ბავშვებისათვის და ამ ზრუნვას მათ წარჩინებული და კარგი სწავლით უნდა უპასუხონ.

როცა ჩვენ სკოლიდან გამოვდიოდით, პირველკლასელთა დიდი ჯგუფი შემოგვხვდა. მასწავლებელს მოუყვანია ბავშვები სკოლისა და ერთიმეორის გასაცნობად. განცვიფრებულ და თანაც გახარებულ პირველკლასელებთან ერთად შევდივართ დიდ საკლასო ოთახში. ბავშვები ათვალიერებენ ახალთ-ახალ მერხებს, სხდებიან მოხერხებულ პატარა სკამებზე. კმაყოფილებისაგან სახეები უბრწყინავთ.

კეთილი გზა ცოდნის სამყაროში, პირველკლასელებო! დე ამ მშვენიერ ახალ შენობაში ბედნიერად დაიწყოს თქვენი სასკოლო ცხოვრება!

ს. კილაძე.

* * *



სურათებზე: დედაქალაქის ახალი 131-ე სკოლა „საქჰიდროენერგომშენის“ დასახლებაში. (მარჯვნივ) პირველკლასელები ეცნობიან საკლასო ოთახს.

ფოტო ავტორისა.

პარტიული ცხოვრება

საანგარიშო-საარჩევნო კრებები პირველად პარტიულ ორგანიზაციებში

მეცხოველეობაგე ფიქრით...

საანგარიშო-საარჩევნო კრება დაიწყო დანიშნულ დროზე; 61 კომუნისტიდან დაესწრო 60; კამათში მონაწილეობა მიიღო 15 კაცმა; კომუნისტები მსჯელობდნენ პარტიული და სამეურნეო მუშაობის ყველა საკითხზე, მაგრამ განსაკუთრებული უურადღება მაინც მეცხოველეობის შემდგომი განვითარების პრობლემებს დაუთმეს.

...და შემთხვევითი არ არის, რომ პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. მირიანაშვილმა გვიჩია საანგარიშო-საარჩევნო კრებას სწორედ აქ, ნორიოს მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში დავსწრებოდით.

ნორიოს მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც ჯერ კიდევ ამავე სოფლის კოლმეურნეობის ბაზაზე 1961 წელს ჩამოყალიბდა, ერთ-ერთი მოწინავეა რენტაბელური მეურნეობაა გარდაბნის რაიონში.

აი ზოგიერთი მონაცემები ამ მეურნეობიდან (უნდა ითქვას, რომ მეურნეობის საქმიანობის ანალიზი კარგად იყო მოცემული პარტიული ორგანიზაციის მდივნის ვ. ქარუმიძის მოხსენებაში): გეგმით „გაფართოებულ“ 1.551 სულის ნაცვლად აქ პაკეთ 1.001 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. აქედან ძროხების რიცხვი გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით 46-ით მეტია. გადაჭარბებით არის შესრულებული ცხვრისა და ღორის სულადობის გეგმებიც. ახლა პროდუქტების წარმოება ავიღოთ: რძე 7 თვეში წარმოებულია 55 ტონით მეტი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებს. რძისა და ხორცის სახელმწიფოსათვის მიყიდვის ცხრა თვის გეგმებიც წარმატებით არის შესრულებული. შარშან კ ! თვეებშ 18.000 მანეთის გადაჭარბა, წელს კი ვარაუდობენ ეს თანხა 50.000 მანეთამდე აიყვანონ.

მიუხედავად ამ წარმატებებისა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტები პრინციპულად მოითხოვდნენ მეცხოველეობაში ნაკლოვანებათა გამოსწორებას, არსებულ საშუალებათა მაქსიმალურად გამოყენებას, პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობის ქმედითად გაუმჯობესებას.

საუურადღებო იყო კრებაზე ფერმის გამგის, კომუნისტ ზ. ჭიპაშვილის გამოსვლა:

— მე არ შევუდგები იმის მტკიცებას, — თქვა მან, — თუ რა მნიშვნელობა აქვს ფერმაში მექანიზაციის დანერგვას. სხვათა შორის ამ საკმეზი ბევრი რამ საინტერესო გვაქვს გაკეთებული. ჯერ ერთი, ფერმა ხომ მთლიანად მექანიზებულია და ცოდად არც ელექტროწველა გვაქვს ათვისებული. მაგრამ ეს როდია მთავარი; მე მინდა შევეხო ზოგიერთ კომუნისტს, რომლებიც უდარდელობას იჩენენ ყოველგვარი სიახლისა და ტექნიკური პროგრესის დანერგვისადმი. აი დავიმონტაჟეთ საწველი აგრეგატები და მათი მოვლა-პატრონობა სხვებთან ერთად დავავალეთ კომუნისტ ეგნატე ბაზაროვს. ბაზაროვი ამ სერიოზულ საქმეს კომუნისტური პასუხისმგებლობით არ მოეკიდა. თავის ნებაზე მიუშვა პირუტყვი და სრულიად აგრეგატი მწყობრიდან გამოვიდა. ეს შეიძლება ვინმეს უმნიშვნელოდ მოეჩვენოს, მაგრამ ამა ერთი კარგად გადაუფიქრია, რა ეკონომიური გაანგარიშებასთან გვაქვს საქმე! აგრეგატების გამოყენებით მოწველილი ცენტნერი რძე 12 მანეთი დაგვიჯდა, ხოლო ხელით მოწველილი — 23 მანეთი. აი გულგრილი დამოკიდებულების კონკრეტული მაგალითი.

...და განა მარტო ბაზაროვი. მექანიზაციის შეუფასებლობას ადგილი ჰქონდა ზაქარია ქარუმიძის ბრიგადაშიც, რისთვისაც მეურნეობის ადმინისტრაციამ იგი სანიმუშოდ დასაჯა.

მომხსენებლისა და კამათის მონაწილე ზ. ჭიპაშვილის საბრალოლიანმა შენიშვნებმა ტონი მისცა საანგარიშო კრებას, რომ იგი მკაცრი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით წარმართულიყო.

სტაჟუვის ამბობს მეცხოველეობის ბრიგადირი, კომუნისტი ლ. ხორიაშვილი.

— ფერმის გამგემ ჭიპაშვილმა, — თქვა მან, — სამართლიანად უსაყვედურა ყველა იმათ, ვინც ფერმაში მექანიზაციის დანერგვისადმი უდარდელობას იჩენს. მაგრამ ყოველივე ეს იმით ხომ არ არის გამოწვეული, რომ ადგილზე ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა კადრების ტექნიკურ სწავლებას. ამა დამსახელეთ თუნდაც ერთი მწველავი, რომელსაც შეეძლოს საწველი აგრეგატის დაშლა, აწყობა ან დაზიანების შემთხვევაში შეკეთება! ჰო და, წინადადება შემომაქვს მეურნეობაში შეიქმნათ სპეციალური კურსები. სადაც ფერმის მუშაკები შეძლებდნენ თავიანთი ტექნიკური ცოდნის ამაღლებას.

კომუნისტ ლ. ხორიაშვილის ამ წინადადებას ერთხმად დაუჭირეს მხარი და იგი ერთ-ერთ პუნქტად შეიტანეს დადგენილების პროექტში.

საუურადღებო იყო იმავე ლ. ხორიაშვილის მეორე წინადადებაც. მან დააყენა საკითხი—მოკლე დროში მოეწყოს უხეში საკვების მექანიზებული გადამუშავება და ასევე მექანიზებული შეტანა საკვებურებში.

— ხორიაშვილი მართალს ამბობს, — თქვა კომუნისტმა ი. ოსიყმაშვილმა. — თუ ჩვენ გვინდა უფრო გავაიაფოთ მეცხოველეობის პროდუქტები, ყველამ ერთად უნდა მოვაწყოთ ლაშქრობა უხეში საკვების მექანიზებული გადამუშავებისა და მისი მექანიზებული ტრანსპორტირებისათვის.

— მე დიდი ორატორი არ გახლავართ და არც დიდი ცოდნა გამაჩნია, — ამბობს შემდეგ ოსიყმაშვილი, — მაგრამ პრაქტიკული გამოცდილებით თვალნათლივ ვხედავ, რა სარგებლობა მოგვიტანა მეცხოველეობაში ისეთი სიახლის დანერგვამ, როგორიც არის ძროხების დაუბმელი შენახვის მეთოდი. რას ნიშნავს ეს? მთელი წლის განმავლობაში ძროხა თავისუფალ მდგომარეობაშია, ნებისმიერად მიდის და იკვებება იმ საკვებით, რაც მას სურს, უხეში საკვები იქნება ეს თუ წვნიანი. კონცენტრირებული საკვები კი მას მხოლოდ ელექტროწველის დროს ეძლევა. ძროხების დაუბმელი შენახვის პირობებში ყველაზე კარგ შედეგს იძლევა ელექტროსაწველი აგრეგატის „ტანდის“ გამოყენება.

— რაღა შორს წავიდეთ. ამ სიახლის გამოყენებით წელს შარშანდელთან შედარებით 7 მანეთით ნაკლები ჯდება ცენტნერი რძის წარმოება. აღსანიშნავია ისიც, რომ 135 ძროხას მომსახურებას უწევს მხოლოდ 5 კაცი.

კომუნისტებმა იმაზეც გაამახვილეს ყურადღება, რომ მეურნეობაში ასევე დიდ ეკონომიურ ეფექტს იძლევა „იმპულსის“ ტიპის ახალი საწველი აგრეგატების გამოყენება და ეს ახალი აგრეგატები ფართოდ რომ იქნას გამოყენებული. საჭიროა მეურნეობაში დაჩქარდეს 200 სული ძროხისათვის სპეციალური ფერმის შენობის აგება.

მეცხოველეობის შემდგომი განვითარება, ამ დარგიდან მეტი მოგების მიღება და მეურნეობის წინსვლა იმაზეც არის დამოკიდებული, თუ როგორ არის მოწყობილი მეურნეობაში მოზარდი პირუტყვის მოვლა-პატრონობა. სამწუხაროდ, როგორც პარტიულ კრებაზე გამომეყოვნდა, აქ სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს. მომხსენებელმა, აგრეთვე სტაჟუვებით გამოსულმა კომუნისტებმა, კერძოდ მწყემსმა ს. ებიძაშვილმა აღნიშნეს, რომ შესამე ბრიგადაში ხბოებს ნორმალურად არ კვებავენ. ხშირ შემთხვევაში მათ კვებავენ ხელოვნური, ამოკვებული ძველი რძით, რაც იწვევს მოზარდი პატარუტვის დაავადებას. ორატორებმა მკაცრად გააკრიტიკეს ამ საქმეში დამნაშავე კომუნისტები — მთავარი ზოოტექნიკოსი გ. კანდელაკი და მთავარი ვეტექიმი რ. ტაკაშვილი.

მეურნეობაში არსებულ მდგომარეობაზე, მეცხოველეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე და ზოგიერთი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში მეურნეობის დირექტორმა ე. დანელიამ.

— მეურნეობა რენტაბელური რომ გახდა, — თქვა მან, — ამაში გარკვეული წვლილი სწორედ კომუნისტებმა შეიტანეს. ისინი განაწილებული არიან გადამწყვეტ უბნებზე და პირადი მაგალითით აღფრთოვანებენ მუშებს. და როცა მეცხოველეობაში დანერგილ სიახლეებსა და ამ დარგში მოპოვებულ წარმატებებს ვეხებით, აქაც არ გვავიწყდება ის შემარცხვენელი, რაც კომუნისტებმა გამოიჩინეს.

—ჩვენ ვამბობთ, რომ მეურნეობა რენტაბელურია, მაგრამ წარმოვიდგინოთ, რა იქნება იგი, თუ გადავკვრით ურწყავი მიწების მორწყვის პრობლემას. ამჟამად ზემდგომ ორგანოებში მოღებულია გადაწყვეტილება, რომ ლილო-მარტყოფის მთავარი არხიდან გადაკაჭვის წესით მორწყულ 400 ჰექტარი ფართობი. რას მოგვცემს ეს? ჯერ ერთი, საშუალება გვექნება მოვაწყოთ მეცხოველეობისათვის საკმარო მწვანე კონვეიერი. შემდეგ. მოვიყვანოთ საკვები კულტურების დიდი მოსავალი: დავთესავთ ონჭალს, ნელინგუნში 4-5-ჯერ გავთიბავთ და ამით შევქმნით მტკიცე საკვებ ბაზას.

წინა წლებთან შედარებით პირუტყვის საკვების დამზადება გაცილებით ნაკლები გვიჯდება. მაგრამ დასამაჯავი არ არაა, რომ საკვების თვითღირებულება მაინც მეტია. ჯერ კიდევ ვერ შევძელით მთლიანად მექანიზებული გაგვეხადა საკვების დამზადება იმის გამო, რომ „საკმოფლტექნიკამ“ საკმაო რაოდენობით ვერ მოგვცა დასაზვინავი და საწნეხი აგრეგატები. ამიტომ საკვების დამზადება ხელით გვიხდება.

ხმა ადგილიდან: „საკმოფლტექნიკამ“ სათაბი მანქანებიც არ გამოგვიყო.

— სწორია, ასეთი მანქანა არა გვაქვს და ამის გამო ვერც ვიტამინურ ფქვილს ვამზადებთ. ვიტამინური ფქვილი კი უეჭველ წამალია პირუტყვის დაავადებათა წინააღმდეგ.

შემდეგ მეურნეობის დირექტორი შეეხო მეურნეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივებს და აღნიშნა, რომ ამჟამად მეურნეობის თვითეული კომუნისტის გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ განვახორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებები და წარმატებით შევასრულოთ ის ვალდებულებები, რაც გათვალისწინებულია 1970 წლისათვის.

აი ეს ვალდებულებებიც: აიყვანონ თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობა ამჟამად არსებული 1.930 კილოგრამიდან 3.000 კილოგრამამდე, ასევე ერთობლივად გაზარდონ ხორცის, მატყლის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება, მისცენ სახელმწიფოს 100.000 მანეთზე მეტი მოგება.

პარტიული კრება დამთავრდა. კომუნისტები კიდევ დიდხანს საუბრობდნენ მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებებზე. მეურნეობის წინსვლის პერსპექტივებზე.

ზ. მერკვილაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

მეშახტის ხასიათი

თუ ვინმეს თქვას — სულ გაგონილა, ალბა რაში გამოვლილებულა ტყიბულელი მეშახტის ხასიათი, გთხოვთ უთხრათ, რომ ცდება.

ტყიბულელი მეშახტეების ყოფაში არათუ არსებობს, არამედ რაც დრო გადის, უფრო .და უფრო მკაფიოდ ვლინდება, უფრო კონკრეტულად გამოკვეთილი ხდება, ღრმავდება და ერცელდება მეშახტეთა შრომის გამოუთქმელი კეთილშობილური არომატითა და ორიგინალური ქართული კოლორიტით შეზავებული ახალებური ხასიათი.

მაშ გაეცანით ქვემოთ მოყვანილ რამდენიმე ეპიზოდს:

მინუს 125-ე ჰორიზონტზე.

ჩემს წინ ზის 30 წლის საშუალო ტანის, კუნთმაგარი ახალგაზრდა, ლენინის სახელობის შახტის მე-6 უბნის უფროსის მოადგილე ბონდო ალექსანდრეს-ძე ჩაფიძე. ეროდა თვალების ჭკვიანური გამოხედვა, სუფთა, უპრეტენზიო ჩაცმულობა, კარგი ქართულით აუჩქარებელი საუბარი ცხადყოფს ამ ახალგაზრდა მეშახტე-ტექნიკოსის სიდინჯეს.

— უბნის უფროსის მოადგილედ რომ დამაწინაურეს, მას შემდეგ კიდევ ხანი როდია, — მომითხრობდა ბონდო ჩაფიძე, — მნგრეველთა ბრიგადირად ვიყავი. ჩვენი საგრეკი ას ოცდამეხუთე ჰორიზონტში (ე. ი. მიწის ზედაპირიდან 125 მეტრ სიღრმეზე) მდებარეობდა. ვმუშაობდით ბიჭები ასი ლაგი ლავის დაკენებზე, საქმე კარგად გვქონდა აწყობილი. ცვლაც ისაის იყო უხდა დამთავრებულიყო, რომ... მოხდა უბედურება: ლაგამ თავი „აიწევინა“, წამოვიდა დაფძლეული ზვირთად და ჩაკეტა გვერდით მოსაბმელი სანგრევი, სადაც ჩემი ბრიგადის სამი წევრი მუშაობდა — ალექსანდრე გვიტაძე, ავთანდილ ჩაჩანიძე და ლერი კობოძე...

იცის თუ ორა მკითხველმა, რომელიც საშახტო შრომის სპეციფიკას არ იცნობს, თუ რა საშინელებაა ასეთი შუბლიგია — 125 მეტრ სიღრმეში, ჯაღლუძულში გამომწყვდეული, ჰაერის გადაკეტვა და დარჩენილ, გამგეგდაე ბატარა სიცოცხლე მახრჩობელა გაზის — მეთანის წარმოქმნის ინტენსიური გაძლიერება? ასეთი ავარიული შემთხვევის დროს ყველგან მხოლოდ ეროი მოწოდება გაისმის:

— თავს უშველეთ!

ვერ გაიგონებთ ასეთ მოწოდებას ტყიბულში. ეს სულმდაბლობის, სიმხდალის, დიაცური შეუძლებლობისა და სამარცხვინო ეგოიზმის სინონიმად მიიჩნევა ტყიბულელ მეშახტეებს. „მოგვეშველეთო“, მიაწვდეთ ხმას ვისაც ჯერ არს, მაგრამ ლოდნის ზრდა დაიწყებინა, ჭასაც არ დაეარგვენ, რადგან ეს „წამი“ უბედურებაში ჩავარდნილი ამხანაგების სიცოცხლის ფასსაა და ასე მოხდა იმჟამადაც, ბრიგადირი ეკვეთა სანგრევში შესასვლელს, გაიხარა ხვრელი. ოფლი ღვარად სდიოდა, ტანსაცმელი სულ დაუსველდა და, როცა სამთო-მაშველთა ბრიგადა მოვიდა, ხვრელი უკვე გაკეთ�ed იყო. იქიდან, მოძუყდეულთაგან დამამეტებელი ძახილის ხმა გამოდიოდა, არა ვვიშავს რაო, ხოლო ოვითონ ბრიგადირე ბონდო ჩაფიძე ლონეშმდგარი და მიწისქვეშა ზვავთან ბრძოლაში არაქათგამოლეული, ერთბაშად დაეცა, მოსაბრუნებელი გახდა.

ბიჭები სამ-ს

საერთაშორისო ცხოვრება

ДЕСЯТИЛЕТИЕ ЧЕХОСЛОВАКИИ

ПРАГА, 28 აგვისტო. (საკადესი). ათასობით ადამიანი შეხვდა გუშინ ვიენტიანეში მშრომელთა პარტიის დელეგაციას პარიზის მუშათა გარეუბან სენ-დენიში. „მშვიდობა ვიეტნამს!", „შეწყდეს ბინძური ომი!", „ვიეტნამელ ხალხთან მეგობრობა" — ასეთი შეძახილები გაისმოდა ხალხით გაჭედილ დარბაზში, სადაც ადგილობრივი ქარხნების მუშათა დელეგაციები შეხვდნენ ვიეტნამელ მეგობრებს. ერთი კვირით ადრე აქ შეგროვეს რამდენიმე ათასი ფრანკის მედიკამენტები, ტანსაცმელი, სამედიცინო მოწყობილობა. შეხვედრაზე გამოვიდა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის პოლიტბიუროს წევრი ლე დიკ თხო. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ფერნანდ ვალინიამ.

მუშებთან შეხვედრის წინ ვიეტნამის დელეგაცია იყო პერ-ლაშეზის სასაფლაოზე, სადაც გვირგვინებით შეამკო კომუნართა კედელი და მორის ტორეზის საფლავი.

ДЕНЬ РАСКИ ЗАМЕТАЕТСЯ...

ВАШИНГТОНИ, 28 აგვისტო. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს დინ რასკს, რომელიც გუშინ სახელმწიფო დეპარტამენტის მორიგ პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა, არ გაუკეთებია რაიმე განცხადება. მან უპასუხა ჟურნალისტების კითხვებზე და შეეხო ამერიკის საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტს. ყველაზე მეტი შეკითხვა მისცეს რაც-კი ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ მოქმედებასთან დაკავშირებით და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის გამო. დინ რასკი ამტკიცებდა, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მიზნები სამხრეთ ვიეტნამში თავდასაწინააღმდეგო ომის მიღწევას. მან გაიმეორა ვაშინგტონის წინანდელი ოფიციალური განცხადებანი, რომ ამერიკის მთავრობა მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება, როგორც მან თქვა „მეორე მხარესთან" რაიმე პირობის დაუფიქრებლად.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა უარყოფითად უპასუხა ჟურნალისტების კითხვაზე, განზრახული აქვთ თუ არა შეერთებულ შტატებს შეწყვიტონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა.

СТУДЕНТЫ ЗАБАСТОВАЛИ

ნიუ-იორკი, 27 აგვისტო. (საკადესი). ერთი კვირა გრძელდება სტუდენტთა მოელვარება სამხრეთ კორეაში იმის გამო, რომ სამხრეთ კორეის პარლამენტმა დაამტკიცა იაპონია-სამხრეთ კორეის ხელშეკრულება. როგორც უცხოეთის საგაზეთები იუწყებიან, დემონსტრაციებში, პოლიციასთან და რეგულარული არმიის ჯარისკაცებთან შეტაკებებში 40 ათასზე მეტი სტუდენტი მონაწილეობდა. სტუდენტთა მასობრივმა მოძრაობამ მთავრობის საწინააღმდეგო, ანტიიაპონური და ანტიამერიკული ხასიათი მიიღო.

ПРАВИТЕЛЬСТВО ПОДАЛО В ОТСТАВКУ

ბელგრადი, 28 აგვისტო. (საკადესი). ბელგრადში გამოქვეყნდა კომუნიკე, რომელიც ეხება ალჟირის კეთილი ნების მისიის ვიზიტს იუგოსლავიაში. რევოლუციური ბაბეშოს წევრის, სოფლის მეურნეობისა და აგრარული რეფორმის მინისტრის ალი მაჰასასის მეთაურობით. მისიის წევრები დღეს გაფრინდნენ ალჟირში.

კომუნიკეში, რომელიც ტანიუგის საადგენტომ გაავრცელა, ნათქვამია, რომ იუგოსლავიის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების დროს მისიის წევრებმა განმარტეს ალჟირის 19 ივნისის ამბები. ამავე დროს ალი მაჰასამა დადასტურა, რომ ალჟირის რევოლუციური საბჭო და მთავრობა მტკიცედ ახორციელებენ მიუმხრობლობის პოლიტიკას.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ მეგობრობისა და ურთიერთურთიერთობა და გამოთქვეს მისწრაფება უფრო ფართოდ გაანავითარონ ეს ურთიერთობა.

АЛЖИРСКАЯ МИССИЯ В ЮГОСЛАВИИ

ალჟირის კეთილი ნების მისიის წევრები მიიღო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ. ალი მაჰასასმა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს გადასცა ალჟირის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის პუარი ბუმედიენის პირადი წერილი.

ბრაზავილის კონგოს რესპუბლიკა. ამას წინათ კონგოელმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა აგვისტოს რევოლუციის მეორე წლისთავი. „რესპუბლიკის დღეს" ბრაზავილში გაიმართა სამხედრო პარადი. სურათზე: პარადის მონაწილენი.

ფოტო ი. სომოვისა. (ასს).

ДАЛЕКИЙ ВОСТОК

ДЕЛЕГАЦИЯ ВЬЕТНАМСКОЙ ДЕМОКРАТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ

ПРЕДСЕДАТЕЛЬ ВЬЕТНАМСКОЙ ДЕЛЕГАЦИИ ЛЕ ДИК ТХО ПОСЕТИЛ ПАРИЖСКИЙ ПОРТ

ПРЕДСЕДАТЕЛЬ ВЬЕТНАМСКОЙ ДЕЛЕГАЦИИ ЛЕ ДИК ТХО ПОСЕТИЛ ПАРИЖСКИЙ ПОРТ

ПРЕДСЕДАТЕЛЬ ВЬЕТНАМСКОЙ ДЕЛЕГАЦИИ ЛЕ ДИК ТХО ПОСЕТИЛ ПАРИЖСКИЙ ПОРТ

ДЕЛЕГАЦИЯ ВЬЕТНАМСКОЙ ДЕМОКРАТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ

ПРЕДСЕДАТЕЛЬ ВЬЕТНАМСКОЙ ДЕЛЕГАЦИИ ЛЕ ДИК ТХО ПОСЕТИЛ ПАРИЖСКИЙ ПОРТ

ДАЙДУКА ЛЕ КОРБУЗИЕ

პარიზი, 27 აგვისტო. (საკადესი). ფრანგი არქიტექტორი ლე კორბუზიე დაიხრჩო, როცა ბანაობდა ზღვაში როკებრიუნ-კაპ-მარტენთან (ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე), სადაც ზაფხულში შეეტყობა ატარებდა, ფრანგული ხუროთმოძღვრების მამამთავარი, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ოსტატი ლე კორბიუზიე (შარლ ედუარ ჟანერე). საფრანგეთისა და სამხრეთ ამერიკის ბევრი შესანიშნავი ნაგებობის ავტორია, მის კალამს ეკუთვნის მრავალი საქმეებული ცნობილი ნაშრომი არქიტექტურაში.

ПОЛЕТ „ДЖЕМИНАИ-5" ПРИБЛИЖАЕТСЯ К ЛУНЕ

ნიუ-იორკი, 27 აგვისტო. (საკადესი). მეშვიდე დღეა მიფრინავს ორ-ადგილიანი კოსმოსური ხომალდი „ჯემინაი-5".

16 საათსა და 09 წუთზე მოსკოვის დროით ამერიკელმა კოსმონავტებმა 90-ჯერ შემოუარეს დედამიწას. ისინი 140 საათზე მეტია კოსმოსში იმყოფებიან. „ჯემინაი-5"-მა უკვე გაიარა 2 მილიონ მილზე მეტი. როგორც ჰიუსტონის კოსმოსური ცენტრიდან იუწყებიან, „კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟმა მითითება მიიღო განაგრძოს ფრენა მთელ მეშვიდე დღეს. ხვალ დილით, როცა კოსმონავტები 107-ჯერ შემოუვლიან დედამიწას, ცენტრი მიიღებს გადაწყვეტილებას, განაგრძობს თუ არა „ჯემინაი-5" რვა დღისთვის გათვალისწინებულ ფრენას.

მთელი ფრენის განმავლობაში კუპერმა და კონრადმა უნდა განახორციელონ 17 ექსპერიმენტი, მათ შორის შესასრულონ პენტაგონის რამდენიმე დავალება.

ფრენის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია იმის გამოკვლევა, თუ რა გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე ხანგრძლივი ყოფნა უწონობის მდგომარეობაში.

მაგრამ, ამერიკელმა კოსმონავტებმა ვერ განახორციელეს მთავარი ექსპერიმენტი: მეოთხე გარშემოვლის დროს მათ უნდა მოეხდინათ „ჯემინაი-5" ხომალდიდან გაშვებულ თანამგზავრთან მიახლოების მანევრი, მაგრამ ელექტროკვების სისტემაში უწესივრობის გამო ეს ექსპერიმენტი გადაიდო. მოგვიანებით, როცა ხომალდის ელექტროკვება თანდათანობით აღსდგა, კოსმონავტებმა განახორციელეს ვითომდა რაკეტასთან მოახლოების ხანგრძლივი მანევრი კოსმოსში, როგორც ფრენის ხელმძღვანელები აღნიშნავენ, ეს ექსპერიმენტი წარმატებით მოეწყო და დიდად სასარგებლო იქნება ახალი კოსმოსური ფრენისა და მთვარეზე მომავალი გაფრენისათვის.

კოსმონავტები თვალყურს ადევნებდნენ რაკეტა „მინიტმენის" გაშვებას, რაც ვანდენბერგის სარაკეტო ბაზიდან მოეწყო. როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, „ჯემინაი-5" ხომალდის ფრენას იყენებენ იმისათვის, რომ შეამოწმონ შეიძლება თუ არა ხელოვნური თანამგზავრების დაჭერა და დაზვერვის წარმოება ხომალდიდან.

კოსმოსური ფრენის დროს კუპერი და კონრადი წაიწყვდნენ ხომალდის სერიოზულ უწესივრობებს. ფრენის პირველ დღეს „ჯემინაი—5"-ში დამაკმაყოფილებლად არ მუშაობდა ელექტროკვების სისტემა, შემდეგ წამოიჭრა საწვავის ეკონომიის პრობლემა იმის გამო, რომ გათვალისწინებულზე მეტი დაიხარჯა ხომალდის ძანევრირებისას. ახლა კოსმოსურ ხომალდში სიძნელეები შეიქმნა ნამუშევარი წყლის შენახვასთან დაკავშირებით. ასეთი წყალი ელექტროენერგიის გამომუშავების შემდეგ წარმოიშობა.

გარდა ამისა, მწყობრიდან გამოვიდა „ჯემინაი—5-"ის ოთი რაკეტული დანადგარი, რომელთა საშუალებით ხომალდი აწარმოებს მანევრირებას. დანარჩენი 14 რაკეტული დანადგარი, როგორც კოსმოსური ცენტრიდან იუწყებიან, ნორმალურად მუშაობს. ფრენის დარჩენილ დროში კუპერი და კონრადი აწარმოებენ ვიზუალურ დაკვირვებას და გადაიღებენ ფოტოსურათებს.

„ჯემინაი—5"-ის ფრენის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა იუჯინ კრანცმა განაცხადა, რომ ხომალდის ყველა სისტემა საკმაოდ დამაკმაყოფილებლად მუშაობს, რომ ფრენა გაგრძელდეს დაგეგმილ რვა დღეს. მაგრამ ხვალ დილით ცენტრი მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ფრენის განგრძობის შესახებ. თუ ფრენა გაგრძელდება, „ჯემინაი—5" წუალზე დაეშვება კვირას, 29 აგვისტოს, დაახლოებით 17 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით.

ნიუ-იორკი, 28 აგვისტო. საკადესის კორესპონდენტი ლ. პონომარიოვი იტყობინება: ამერიკელმა კოსმონავტმა კუპერმა „კოსმოსური შვებულება" უწოდა 26 აგვისტოდან 27 აგვისტომდე ხომალდ „ჯემინაი—5"-ში გატარებული იძულებითი უმოქმედობის ოცდაოთხ საათს. ხომალდის ენერგოკვებაში წარმოიშვა ახალი გართულება და დედამიწიდან მიღებული ბრძანებით კოსმონავტებმა მოწყობილობის მეტი ნაწილი გამორთეს ელექტროენერგიის ეკონომიის მიზნით. კაბინაში აცივდა, აცნობა დედამიწაზე კუპერმა, ილუმინატორზე ამონასუნთქი ტენისაგან წარმოიშვა ჭირხლი. ჩვენ ყელამდე ნაგავში ვსხედვართ.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგენტო იუწყება, ოთან კოსმოსურ ცენტრთან საუბრის დროს კოსმონავტებმა შეშფოთება გამოთქვეს სათბობის სისტემაში წყალბადის წნევის დაცემის გამო. აირადი წყალბადის კოსმოსურ სივრცეში სვლის შედეგად გუშინ ხომალდი „ჯემინაი-5" ყირაზე გადაიოდა. მაგრამ, იუწყებიან საინფორმაციო საგენტოები, ამას ზეგავლენა არ მოუხდენია კოსმონავტების მდგომარეობასა და „ჯემინაი-5"-ის შემდგომ ფრენაზე.

კოსმოსური ხომალდ „ჯემინაი-5"-ის დაშვება გათვალისწინებულია კვირას, 29 აგვისტოს, 10 საათსა და 28 წუთზე ნიუ-იორკის დროით (17 საათი და 28 წუთი მოსკოვის დროით) ბაგამის კუნძულების რაიონში.

ГРАЖДАНСКАЯ ВОЙНА НЕ ПРЕКРАЩАЕТСЯ

ნიუ-იორკი, 27 აგვისტო. (საკადესი). განთავისუფლების არმიის მებრძოლები დღეს ოთხჯერ დაესხნენ თავს ეიმონიკიელებს 12-15 მილზე საიგონიდან, ამერიკის სამხედრო წარმომადგენელმა აცნობეთ განაცხადა, რომ დიდი ხანია მოუვიდათ საიგონის ჯარებს ტან-ნიოტში, რომელიც ზოგიერთი ცნობის თანახმად, ხელთ იგდეს სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა. ბრძოლის ადგილას გაგზავნეს ხომალდების საოლეერსიო-სადაზვერვო ქვეგანაყოფები.

შეტაკება მარიონეტულ სამხედრო ქვეგანაყოფებსა და განთავისუფლების არმიის რაზმებს შორის მოხდა აგრეთვე დღეს დასახლებულ პუნქტების ვენჩანის, ლონგ-ანისა და ბინ-დუონგის რაიონებში.

ნიუ-იორკი, 28 აგვისტო. (საკადესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საადგენტო იუწყება, 30 კილომეტრზე კან-თოს დასავლეთით მეკონგის დელტაში ბევრ დღეა სასტიკი ბრძოლები წარმოებს განთავისუფლების არმიის რაზმებსა და მარიონეტთა ჯარისკაცებს შორის.

ბრძოლის რაიონში ვერტმფრინავებით გადაიყვანეს მარიონეტთა მაშველი ჯარები, მაგრამ განთავისუფლების არმიის მებრძოლები მათ ძლიერი ცეცხლით შეხვდნენ. ცხობებში აღნიშნულია, რომ ჩამოაგდეს ამერიკის ერთი ვერტმფრინავი.

КИДЕВ ОРИ АТАСИ

ნიუ-იორკი, 27 აგვისტო. (საკადესი). დღეს ამერიკის თანამდებობის პირებმა განაცხადეს, რომ სამხრეთ ვიეტნამში ამ კვირის თანმიმდევრობაზე გადასხეს ამერიკის შეერთებული შტატების ორი ათასზე მეტი ჯარისკაცი დამხმარე ჯარების ქვეგანაყოფებიდან. ამას იუწყება ასოშიეიტედ პრესის საადგენტოს საიგონელი კორესპონდენტი.

ერთი ჯგუფი გადასხეს კიუ-ნიონში, მეორე — კან-რანის ყურეში, მესამე—ვუნგტაუში.

МАТАРЕЗЛЕГИЗМ ЗАПРЕЩАЕТСЯ

პარიზი, 28 აგვისტო. (საკადესი). შამპანიოლის მახლობლად (აღმოსავლეთ საფრანგეთი) ერთმანეთს დაეჯახა ორი სამგზავრო მატარებელი, რის შედეგად დაიჩოცა 13 და დაშავდა 40 კაცი.

ПОД ОГНЕМ ГРАЖДАНСКОЙ ВОЙНЫ

ПОЛЕТ „ДЖЕМИНАИ-5" ПРИБЛИЖАЕТСЯ К ЛУНЕ

ПРАВИТЕЛЬСТВО ПОДАЛО В ОТСТАВКУ

ДЕНЬ РАСКИ ЗАМЕТАЕТСЯ...

ДАЙДУКА ЛЕ КОРБУЗИЕ

ГРАЖДАНСКАЯ ВОЙНА НЕ ПРЕКРАЩАЕТСЯ

КИДЕВ ОРИ АТАСИ

МАТАРЕЗЛЕГИЗМ ЗАПРЕЩАЕТСЯ

ДАЙДУКА ЛЕ КОРБУЗИЕ

ПОЛЕТ „ДЖЕМИНАИ-5" ПРИБЛИЖАЕТСЯ К ЛУНЕ

ПОЛЕТ „ДЖЕМИНАИ-5" ПРИБЛИЖАЕТСЯ К ЛУНЕ

ДАЙДУКА ЛЕ КОРБУЗИ

დისკუსია ( ) ხელოვნებაზე

ხელოვნებამ მანძილი არ იცის. ასევე მეგობრობამ. ასეთი ფიქრები გვებადება სწორედ ახლა, როცა რიგის რუსული დრამის თეატრი საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში თავისი გასტროლების დასაწყებად ემზადება.

ლატვიაში კარგად იცნობენ ქართველი ხალხის ხელოვნებას. ფართო პოპულარობით სარგებლობს ქართული პოეტთა თარგმანები, მხატვართა სურათები, კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

მაგრამ ჩვენ შორის განსაკუთრებით ახლო კონტაქტები დამყარდა თეატრალური ხელოვნების დარგში. ქართული თეატრის გამოჩენილმა ოსტატებმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ჩვენი მრავალეროვნული კულტურის განვითარებაში.

რიგელები დღემდე იგონებენ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის გამოსვლებს რიგაში. სპექტაკლებმა „მედეამ“ „ბაფთიანმა ქალიშვილმა“ და სხვ. უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. დიდი სიხარულით აღიარებენ მარჯანიშვილის ინსცენირებულ მაგალითებზე. ამ ფილმებზე ... ...